№ 82. 22 აპრილი, ოთხშაბათი. 1866 - 1881 22 აპრილი, ოთხშაბათი. № 82.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თბილისში „დროებისა“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებისა-ივერიის“ აგენტთან ი. ჭუნიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით აღარ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.


საჰაჭრო სახლი

## ძმებთა კ. და ს. პოპოვებისა

მოსკოვში

ამით აცხადებს, რომ მოკლე ხანში ზემოხსენებულ ფირმით თბილისში გაიხსნება კერძოდ და ნარდად ჩაით ვაჭრობა, გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში, და ამით აცხადებენ საყოველთაო საცნობათ.

მაღაზიაში იქნება საუკეთესო ჩაი, ჩვენი ზედამხედველობის ქვეშ აწონილი საკუთარს უმთავრეს მაღაზიაში, მოსკოვში. (5—1)

არწრუნის თეატრში
დღეს, 22 აპრილს
ქართულ დრამატიულ ტრუპპისაგან წარმოდგენილ იქმნება:

I
სიყვარული მკურნალობს
კომედ. 3 მოქმედ. მოლიერისა თარგმ. ფრანცუზულიდამ დიმ. ყიფიანისაგან.

II
გულმა იგრძნო
კომედია 1 მოქმედებად, თარგმანი რუსულიდგან მარიამ საფაროვისა.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.
დასაწყისი 8 საათზე.


## ტელეგრამმები

პეტერბურღი, 20 აპრილს. დღეს დილით ათ საათზედ ჩამოვიდა სპარსეთის ელჩი.

„ნოვოე ვრემიას“ გაუგია, რომ ფინანსის სამინისტროს ყველა სასწავლებლები გარდაეცემა სახალხო განათლების სამინისტროს მმართველობაში.

პეტერბურღი, 20 აპრილს. დუბლინი, 20 აპრილს. ვიცე-კოროლმა გამოაცხადა, რომ დუბლინშიაც არის დარღვეული მშვიდობიანობა, გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც შეჩერდება აქტის *Habeas corpus* მოქმედება; მალე აპირებენ დილკენისა და სხვა მემამულეთ ლიგის წინამძღომელთ დატუსაღებას.

ტფილისი, 21 აპრილს.

ევროპის საზოგადო ყურადღებამ საგანი შეიცვალა. როდესაც სანმეროვის მოედანზედ სრულდებოდა უკანასკნელი აქტი იმ საშინელი დრამისა, რომელმაც პირველ მარტს იფეთქა ეკატერინის არხზე, სწორეთ ამ დროს ინგლისის პირველმა მინისტრმა გლადსტონმა წარუდგინა პარლამენტს თავისი საირლანდიო ბილლი. დაუყოვნებლივ, მოაზრე ევროპამ აარიდა თვალი სისხლით და დუქით გასვრილს აღმოსავლეთსა და თავისი მთავარი ყურადღება დაამყარა დასავლეთის კუთხეზედ, სადაც უნდა ატეხილიყო ცხარე, მაგრამ მშვიდობიანი, ბრძოლა სავსე მაღალი მნიშვნელობითა.

ეს ბრძოლა უკვე ასტყდა და გაჰყო ორ მოწინააღმდეგე დასათ არა მარტო ინგლისის ერი, არამედ მთელი ევროპის საზოგადოება. ერთს დასს შეადგენენ მემამულენი და მექარხნენი, ანუ ფაბრიკანტები, და უკან ჩამორჩომილი ჟურნალ-გაზეთები, მეორე დასში ირიცხვიან: მუშა ხალხი, გლეხობა და დაწინაურებული რაზმი მწერალთა და განათლებულთა. პირველი დასი მტრულის თვალით უცქერის გლადსტონისაგან მოწადინებულს ცვლილებას და ცხარე წინააღმდეგობისათვის ემზადება, მეორე მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს ბილლის ავტორსა და ყოველს სახსარს იხმარს მისი გამარჯვებისათვის.

აშკარაა, რისთვის ეწინააღმდეგებიან გლადსტონის ბილლსა ლორდები, მემამულენი. იგი ამ ვაჟბატონების საკუთრების უფლებას, აქამდის უსაზღვრელს, მამულზედ ვიწროთა საზღვრავს; მათ გაუმაძღარს თვალს და ჯიბეს ბევრს აკლებს, მოლალე გლეხები გამოჰყავს მათი ყურმოჭრილი მონაობიდგან და უსამართლო ინტერესს მემამულეებისას ეწინააღმდეგება... მაგრამ მექარხნეებს რაღათ ეწვით კუდი და რა სჯით? ზომიერ რესპუბლიკურს გაზეთებს საფრანგეთისას რათ არ ეპიტნავებათ გლადსტონის ბილლი და რატომ აღიმაღლეს ხმა მის წინააღმდეგ?

გლადსტონის ბილლს სოციალური თვისება აქვს, ძირეული სოციალური ცვლილების ქვა-კუთხედს სდებს. აი მიზეზი, რის გამოისათაც ბურჟუაზია მხარს აძლევს და ეხმარება ამ საქმეში ლორდებს, მემამულეებს.

მოგეხსენებათ, აწ მდგომი დაწყობილობა კაცობრიობისა იმ გვარია, რომ გლეხობა და მუშა ხალხი მთლათ დამოკიდებულია, სრულიად დამონავებულია მემამულეებისა და ფაბრიკანტებისაგან, რომელნიც მათი გაჭირვებით სარგებლობენ და შრომის ფასს, რაც კი შეიძლება, ნაკლებს აძლევენ. ხალხი დილით საღამომდის შრომობს, წელებზედ ფეხს იდგამს, მაგრამ უმეტესი, დიდი ნაწილი მისი შრომის ნაყოფისა ჩადის მიწის და ფულის პატრონების ჯიბეში, რომელნიც უმეტეს ნაწილათ დროებას ცუდაობაში ატარებენ. როდესაც გლეხნი და მუშანი სცდიან ყოველს გვარს გაჭირვებას, მოკლებულნი არიან ადამიანურს ცხოვრებასა, ითმენენ შიმშილს, სიტიტვლეს, უბინაობას და ცხრათ არიან წელში მოკაკულნი, ამ დროს მიწის და ფულის პატრონნი სცხოვრობენ განცხრომაში და ამაყნი, წელში გამართულნი, დასცურვენ კმაყოფილებათა ზღვაში. როდესაც პირველთ ნატისუსალი ასდით და კანისა და ძვლების მეტი არა აბადიათ-რა, უკანასკნელნი აღარ ეტევიან კანში სისხლის და ხორცის გადამეტებულობით და ჰყარან კეთილ-დღეობისაგან.

«დროების» ფელეტონი, 22 აპრილს.

### ბედნიერი დაცილებაა?

(ამბავი)

I

დედა ნახე, მამა ნახე,
შვილიც ისე გამონახე.

მდიდრულად მორთულ საწოლ ოთახის სავარძელში, გაღებულს ფანჯარასთან გადაწოლილი იყო მამხელ მინადორა და გულ-დასმით ჰკითხულობდა ჩინებულად მოკაზმულ წიგნსა. შავი თვალ-წარბი და სწორი, თითქო საგანგებოდ გამოქანდაკებული ცხვირი ეშხს უმატებდენ იმის მარჯნის ფერს ტუჩს, მიჯრით წყობილ კბილებს და ელფერით სავსე შავ-გვრემანს ღაწვებს, რომელთაც ხშირად ეხებოდნენ ზილფი „ყორნის ბოლოები“. მამა მისი რუსია და ამის გამო, თითქმის ყველა გაკვირვებული იყო მინადორას ამ ნაირის სილამაზისაგან: სად რუსი, სად ამისთანა სიმშვენიერეო, ამბობდენ ისინი. მაგრამ ზოგიერთები თავიანთის ავ-ენობით ჩურჩულებდენ, რომ მინადორა ერთი ჩვენებურის დონ-ჟუანის ნალევწი არისო, და ამის დასამტკიცებლად უთითებდენ მართლაც რომ განსაცვიფრებელს მსგავსებას მინადორისა და იმის სახეთა. ამ საბუთს ისინი კიდევ იმითი ამტკიცებდენ რომ ჩვენის მამხელის დედას—აცუნდრუკებულ ქართველ ქალს,—და იმ ვაჟბატონსა ერთს დროს ძლიან დაახლოვებული მეგობრობა ჰქონდათ...

ზემოთ მოგახსენეთ, რომ მინადორა ღია ფანჯარასთან წიგნს გულდასმით ჰკითხულობდა-მეთქი. წამითიწამად იმის სახეს ეწვეოდა კეკლუცი ღიმილი, ღაწვებზე გადაჰკრავდა აღტაცებულ-მორცხობის წითელი ფერი და ხან-და-ხან კურცხალიც ჩამოუვარდებოდა ხოლმე თვალიდამ. ამ დროს ის იღებდა ქვის-კალამს (კარანდაშს) და ნიშნავდა მის მოსაწონს ადგილებს, რომელნიც ერთობ ბლომად იყო იმ წიგნში—როკამბოლის თავ-გადასავალში. ნახევარის საათის კითხვის შემდეგ ის ზანტად წამოდგა სავარძელიდამ, გაისწორა ცოტათი მოხრილს ბეჭებზე წამოსხმული პლედი, ხელები გულზე დაიკრიფა და თავ-ჩაღუნულმა, მძიმედ დაფიქრებულმა დაიწყო წინ-და-უკან სიარული სპარსულის ნოხებით მორთულს იატაკზე. მთელი გუნდი ფიქრებისა ძრიელ ნაკადულსავით მოაწვა ამის ნორჩს თავს, გაიტაცა მისი გონება მეყვსეულად და მისცა განუსაზღვრელს ოცნებასა... „აგერ სამი წელიწადია, რაც ინსტიტუტი გავათავე და საზოგადოებაში გამოველ, ამბობდა იგი თავის გულში,—და ცხოვრებისადმი განუსაზღვრელს გულ-გრილობის მეტს ვერაფერს ვხედავ. სადაა ის დალოცვილი, აღტაცებული ცხოვრება, განცხრომითა და ფუფუნებით დროის გატარება და დალოცვილი სიყვარული, რომელთ შეხვედრას სულით-ადა-გულით ველოდებოდი? მარტო დალოცვილს საფრანგეთსა და ესპანიაში ყოფილა ამისთანა ღირსეული ცხოვრება, როგორც ვხედავ რომანებიდამ.... შემძაგდა ღმერთმანი სიცოცხლე, ერთს კაცს იმისთანას ვერ ვხედავ, რომელსაც გრძნობა განვუზიარო... უსიყვარულოდ უნდა მოკვდეს ადამიანი მაგათს ხელში... უგემურად სმა-ჭამა, უმიჯნუროდ დაბერება და მერე... შავი საფლავი! ღმერთო ჩემო, რა უბედური ვარ!..“ აქ მინადორას აჩუყებულმა გულმა ვეღარ მოითმინა და ქვითინს მოჰყვა. გრძნობიერის ტირილით დაღალულმა მალე აღშფოთებულს რუსს მისცა თავი.

უეცრად, სადღაც გავარდა თოფი და გზა-დაბნეული ტყვია ზუზუნით შევარდა მინადორას ოთახში. უმაწვი-

როდესაც ერთი უმთავრესი ნაწილი კაცობრიობისა პირუტყულს მდგომარეობაში არის ჩავარდნილი სიღატაკის გამო, მეორე, მცირე ნაწილი, ძვლებამდის გარყვნილია მეტის-მეტის სიმდიდრისაგან. ერთს მხარეს ჰლუპავს უდიერი, ულმობელი შრომა და სიღატაკე, მეორეს სიცუდავე და სიმდიდრე.

სოციალისტებს სურთ კაცობრიობა გამოიყვანონ ამ გვარ გამრყვნელ მდგომარეობიდგან. იმათ სწადიანთ განსაზღვრონ, შეასუსტონ და გააუქმონ ეკონომიური კონტრასტი, ნივთიერობითი უსწორობა. ისინი ელტვიან მოსპონ ერთი მხრით დამჩაგვრელი სიღატაკე, მეორე მხრივ გამრყვნელი სიმდიდრე და დაამყარონ ქვეყანაზედ საყოველთაო ზომიერი კეთილდღეობა. ამ მიზნის მისაწევათ მათ სურთ გამოიყვანონ შრომა მონობიდგან, მეუფობა ჩამოართვან კაპიტალსა და ჩააბარონ იგი შრომასა. მაგრამ რა გზით?

ზოგი სოციალისტთაგანი დარწმუნებულია, რომ ეს სანატრელი ცვლილება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ძალ-დატენებით, თოფ-იარაღის ხმარებით, რევოლიუციის შუამავლობით. ხალხი უნდა აჯანყდეს, აღსდგეს და ძალით დაისაკუთროს მიწაც და ფაბრიკებიც, რომელნიც მისი ოფლით, მისი შრომით. აქვთ შეძენილი მემამულეებს და ფაბრიკანტებსო. სხვანი უარს ჰყოფენ სისხლის მღვრელს გზასა, ცვლილებასა ელტვიან მშვიდობიანის ღონისძიებით, ქადაგობენ სოციალურს სწავლას, ამტკიცებენ, რომ სახელმწიფომ უნდა შემწეობა აღმოუჩინოს და შეასყიდვინოს გლეხებს მიწა-წყალი და მუშებს ფაბრიკებიო, ერთი სიტყვით ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ უმეტესობა დააჯერონ თავისი ჰაზრის სიჭეშმარიტეში, სარგებლობაში და ამ უმეტესობას მოახდენინონ ძირეული ცვლილება საზოგადო წყობილობაში სისხლის დაუღვრელად. წინეთ სოციალისცები მცირე რაზმს შეადგენდნენ და მათ თითქმის მთელი საზოგადოება ძალიან ავის თვალით უცქეროდა. ეხლა კი მათმა რიცხვმა ისე იმატა, რომ მთელი ევროპის სახელმწიფონი მოფენილნი არიან სოციალისტებითა, ზედგავლენა მათი ისე განძლიერდა, რომ მათ მრავალნი მომხრენი ჰყავთ თვით მდიდართა წოდებაში. საქმე იქამდის მივიდა, რომ ბოლოს ჟამს დაწინაურებულნი სახელმწიფო პირნიც აშკარად აღიარებენ საფუძვლიანობას და სიჭეშმარიტეს ბევრი მათი სწავლისას. ეს კიდევ ცოტაა. სახელმწიფო პირნი ცდილობენ ახლავე სისრულეში მოიყვანონ ზოგიერთა მოთხოვნილებანი სოციალიზმისა. ამ სახელმწიფო პირთა შორის პირველი ადგილი დაიჭირა ინგლისის პირველმა მინისტრმა გლადსტონმა, რომელმაც თავისი საირლანდიო ბილლით სოციალიზმის მნიშვნელობა და უფლება აღიარა.

გლადსტონის ბილლი იმისთანა აქტია, იმისთანა რეფორმაა, რომელიც თითქმის ახალს პერიოდს, ახალს ხანას უქადის კაცობრიობას. მეტადრე დიდი მნიშვნელობა აქვს ერთს მუხლსა, რომელიც წმინდა სოციალური თვისებისაა. ეს გახლავთ ის მუხლი, რომელიც ვალათ სდებს სახელმწიფოს ორას მილიონამდი ფული მისცეს იმ კამისიას, რომელიც დაინიშნება მემამულების და მეალე გლეხების საქმეების გამგებლათ, იმ მიზნით, რომ კამმისიამ ამ ფულით გამოისყიდოს ლორდებისაგან მამულები, პატარ-პატარა ჭრებათ დაჰყოს და დაურიგოს გლეხებს იმ პირობით, რომ ჯეროვანი ფული მათ კამისიას დაუბრუნონ წვრილ-წვრილათ, შეღავათით, ოც-და-თხუთმეტი წლის განმავლობაში.

ცხადია, რა შედეგი უნდა ჰქონდეს ამ მუხლის აღსრულებას, განხორციელებას. მისი მეოხებით მოკლე მომავალში ირლანდიის გლეხობა მესაკუთრე შეიქნება იმ მამულებისა, რომლებშიაც იგი ეხლა ოფლსა ღვრის ლორდების გასამდიდრებლად. იგი სამუდამოთ დააღწევს თავს იმ ეკონომიურს მონაობიდგან, რომელმაც ნიჭიერი და მხნე ირლანდიის ხალხი მიწასთან გაასწორა, და დაადგება ახალ ცხოვრების გზასა.

ისიც ცხადი უნდა იყოს, თუ რა ზედგავლენა ექნება ამ აქტსა, ამ რეფორმას ბურჟუაზიულს წყობილებაზედ ევროპაში. მუშების მდგომარეობა ევროპაში ისეთივე უსიხარულო და გაჭირებულია, როგორც ირლანდიის გლეხობისა. აქაც ფაბრიკანტებს ისე ჰყავთ მუშები დამონავებულნი, როგორც ლორდებს ირლანდიის მოლალე გლეხები. აქაც კაპიტალი ნაწარმოებიდგან ირჩენს თავის საკუთრად ლომურ ნაწილსა და შრომას კი ჩიტის კერძსაც ძლივს არგუნებს... მიზეზი და წყობილება ერთია, შედეგიც ერთი და იგივე მოსდევს ორსავე ადგილს. სენი ერთია, წამალიც ერთი უნდა იქმნას ხმარებული.

ამიტომ, რაკი ირლანდიაში მოარჩენენ საზოგადო სენს გლადსტონის მოგონებულ წამლის მეოხებით, მთელს ევროპაში მოითხოვენ, რომ ეს წამალი აქაც ნახმარი იქმნას, აქაც მალამოთ დაედოს ხალხის ტკივილს და კვნესას. ეს მოხდება მით უმეტეს, რომ ამ წამალს დიდი ხანია ურჩევდნენ სოციალისტები მუშების საქმის წალმა დასატრიალებლად. არ გავა რაოდენიმე წელიწადი ირლანდიის რეფორმის სისრულეში მოყვანის შემდეგ, რომ მაგალითად, საფრანგეთის პარლამენტს წარუდგება ამ გვარი წინადადება: დაინიშნოს სახელმწიფო კამმისია, რომელსაც ჩაბარდეს გამგეობა ფაბრიკანტების და მუშების საქმეებისა, მიეცეს ამ კამმისიას რავდენიმე ასი მილლიონი მანეთი გამოსასყიდლად ფაბრიკებისა, რომელნიც მან უნდა ჩააბაროს მუშების ამხანაგობათა იმ პირობით, რომ ამ ამხანაგობით დახარჯული ფული დაუბრუნონ კამმისიას ცოტა-ცოტათი რაოდენიმე ათი წლის განმავლობაში. და პარლამენტი იძულებული იქნება მიიღოს ეს წინადადება და მმართებლობას ჩააბაროს მისი სისრულეში მოყვანა. ამ გვარი მომავალი ფაბრიკანტებს, ბურჟუაზიას, რასაკვირველია, საშინლად არ ეპიტნავება, და იმიტომაც ზომიერ რესპუბლიკურ გაზეთებმა, რომელნიც ბურჟუაზიის სიკეთეს ემსახურებიან, ხმა აიმაღლეს გლადსტონის ბილლის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც რადიკალური გაზეთები სიხარულით მიეგებნენ მას.

რასაკვირველია, არავინ არ მოელის იმასა, რომ მოკლე ხანში შეეძლოთ სახელმწიფოებს ყველას მამულ-დედული და ფაბრიკები გამოისყიდონ ეხლანდელი პატრონებისაგან და მშრომელ ხალხს გადასცენ საკუთრებათ; ამ ცვლილებას მილლიონები კი არა, მილლიარდები მოუნდება. მაგრამ ამაში კი ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რაკი ამ საქმეს კარგი, საფუძვლიანი დასაბამი მიეცემა, უთუოთ ბოლომდის ივლის. ხომ მოგეხსენებათ, წინდას რომ ცოტა თავი მოარღვიო, ივლის, ივლის და მთლად დაირღვევა. ასევე უნდა ვსთქვათ სოციალურს ცვლილებებზედაც.

ეხლა საქმე იმაშია, გაიმარჯვებს გლადსტონის ბილლი, თუ იგი უარყოფილი იქნება ხმის უმეტესობით ინგლისის პარლამენტებში?

რომ ბრძოლა იქნება ცხარე, ამას ბევრი ნიშნები გვიჩვენებს. ბილლის წინააღმდეგობა გამოაცხადეს არა მარტო კონსერვატორებმა, არამედ ზოგიერთა ლიბერალებმაც. თვითონ სამინისტროს წევრი, ამხანაგი გლადსტონისა, აგრაილი არ დასთანხმდა ბილლზედ, უარ-ჰყო იგი და სამინისტროდგან გამოვიდა. მის კვალს გაჰყვება არა ერთი ლიბერალი.

მაგრამ გამარჯვება ბოლოს და ბოლოს მაინც უეჭველია. ამაში გვარწმუნებს ჯერ ის გარემოება, რომ

---

ლი ქალი გარეტიანებული წამოხტა, ერთი შეჰკივლა და გულ-შეწუხებული იატაკზე დაეცა.

შეშინებული დედა მეყვსეულად შემოვარდა თავის ქალიშვილთან და მოახლეთა შემწეობით, როგორც იქნა გული მოუბრუნა მას...

### II

— ერი ჰა! თუ არ გინდოდეს პირით ყურში იკარი ჩხირიო, ეს არის ა!... ღმერთო, თუ რამე უბედურება მოხდა! ბიჭო წადი შეიტყე, ხომ არავინ მომიკლავს პოლკოვნიკის ლახვიცის სახლში?

ამას ამბობდა კაპიტანი თავადი ჰ—შვილი, რომელიც თავის კაბინეტის ფანჯრიდამ ჩიტებს თოფს ესროდა, მაგრამ დააცილა და ლახვიცის ქალის მინადორის ოთახს მოარტყა. სულ ორი დღე არ იყო მას აქეთ, რაც იგი სხვა ქალაქიდამ გადმოვიდა და ეხლავე ამისთანა ხიფათს გადაეკიდა.

ბიჭის მოტანილი ამბვით მისი გული ცოტათი დაშოშმანდა. პირველ—შემთხვევისთანავე მან უამბო თავის ამხანაგებს, თუ როგორ დააცილა ჩიტებს თოფი, სად მოხვდა დაცილებული ტყვია და თხოვა რჩევა, თუ როგორ უდნა მოქცეულიყო. ამხანაგებმა ბოდიშის მოხდა ურჩიეს. კაპიტანი დათანხმდა, და შეუდგა იმისთანა კაცის ძებნას, რომელიც დაახლოვებული უნდა ყოფილიყო პოლკოვნიკის ოჯახთან და მას მისძღოლოდა.

### III

ქალაქის ერთს მიყრუებულს ქუჩაში, სოფიო მკითხავის სახლის კარებთან, საღამოს 7 საათზე გაჩერდა ფაეტონი, რომლიდამაც გადმოხტა ვილაც, შავებში გახვეული ქალი და მოუთმენელის სისწრაფით დაუბრახუნა მარჩიელის კარებს...

ერთი წამის შემდევ ის იყო მკითხავის დარბაზში. მასპინძლის თხოვნით ტახტზე დაჯდომის შემდეგ, შავოსანმა გადიგდო რიდე პირიდამ და გამოჩნდა... ჩვენი ნაცნობი მინადორა.

— რას იტყვი, ჩემო შვილო, ტკბილი და კუდური კილოთი ჰკითხა მარჩიელმა თავის სტუმარს. მინადორას მსწრაფლად მოეფინა ღაწვებზე მორცხვობის ალის-ფერი, ტუჩები აუთრთოლდა, აკანკალებული ხმით და გულის ძგერით უამბო ზემოხსენებული სიზმარი და სთხოვა მისი ახსნა. მარჩიელმა მოჰკიდა მის ბაჯას ხელი, ჩააცქერდა პირის სახეზე და მოჰყვა:

— აქამდის ბედისათვის გიცდია, ჩემო შვილო, და აი, ეხლა თვითონ ბედი მოგდგომია კარზე. ვილაც ერთი ღირსეული კაცი სტუმრებია ჩვენს ქალაქს და პირველ ნახვისთანავე გულს სცემია შენი სიყვარულის ალი... იმას უნდა შენი გაცნობა და, როცა თავის სურვილს აისრულებს, თავს ბედნიერად ჩათვლის... ჯვარის წერა იქნება თქვენი გაცნობის ბოლო. ღმერთმა დაგლოცოს შვილო, ბედნიერი სიცოცხლე მოგცილის! მინადორა სიხარულით წამოხტა, ხუთმანეთიანი „გასამრჯელო“ მისცა მკითხავს, ერთ წამზედ ფაეტონში გაჩნდა და გასწია თავის ამხანაგისას, რომელთანაც დედ-მამის ნებართვით მთელი დღით იყო გაშვებული. „Ну, чѣмъ я не Евгенія де-Монтихо?!“ („აბა, რით არ ვჰგავარ ევგენია დე-მონტიხოს?“) თავის თავს სიამოვნებით ჰკითხავდა ფაეტონში მჯდომარე მინადორა.

### IV

კვირა დღეა. ლახვიცის სახლების წინა-კარებთან დილის 1-დამ ნაშუადღევის 3-მდე შეუწყვეტელი მიმოსვლაა ფაეტონებით სადარბაზოდ (სავიზიტოდ) მოსიარულე პირთა. ში-

მინისტრთა რჩევა შესდგება მხნე, გამბედავი და შეუპოვარი პირებისაგან, რომელთა ნახევარი რადიკალების დასს ეკუთვნის.

მინისტრობა ლორდების პალატა გაჯიუტდა და ბილლის მიღების შესახებ უარზედ დასდგა, სამინისტროს შეუძლიან ერთბაშათ იმდენი ახალი ლორდი დანიშნოს თავის მომხრეთაგან ზემო პალატაში, რავდენიც საჭიროა ხმის უმრავლესობის მიღებისათვის. მეორე გარემოება გახლავთ ირლანდიის მრისხანე მდგომარეობა. მთელი ერი, დიდი, თუ პატარა, მოხუცი, თუ ყმაწვილი,, ქალი თუ კაცი ერთი ჰაზრით არიან აღვსილნი, ერთს მიზანს ადგიან, ერთი ნატვრა აქვთ. გლეხების განთავისუფლება ლორდების მონობისაგან. უწინაც მოხდებოდა ხოლმე ირლანდიაში მოძრაობა, მაგრამ ერთი პირი არა ჰქონდა ხალხსა. ბევრი ირლანდიელი პირად ინტერესის გამო ემორჩილებოდა ინგლისელებს და თავის ხალხს ღალატობდა, ეწინამდეგებოდა. ამიტომაც ინგლისი ადვილად ეუბნებოდა უარს ცვლილებაზედ, გაუკეთესობაზედ. ამ ჟამათ კი ირლანდია სრულად სხვა სურათს წარმოადგენს. მთელს ხალხს ერთი პირი აქვს და ერთხმივ ითხოვს რეფორმას ინგლისისაგან. რაც გლეხობას სწადიან, მასვე ბანს აძლევს სამღვდელოება, რასაც ლიბერალები თხოულობენ, ისივე სწადიანთ კონსერვატორებს, რისათვისაც შეუპოვრად იბრძვის პარნელი, მასვე მხურვალეთ თანაუგრძნობს მისი მოხუცებული დედა და აღტაცებით ეგებება მისი ნორჩი და. თუ ამას დავუმატებთ გონიერს, მაგარს ორგანიზაციას საადგილ-მამულო ლიგისას, მაღალ ნიჭიერს, გამოცდილ და შეუპოვარ მოთავეებს, წინამძღოლებს, მაშინ ჩვენ ცხადათ დავინახავთ, თუ რავდენათ უნდა ეშინოდეს ინგლისს უარის თქმისა სოციალურ ცვლილებაზედ. ეს შიში პირ-და-პირ გამოაცხადა გლადსტონმა პარლამენტში, როდესაც წარმოსთქვა: ბილლის წინააღმდეგს უნდა კარგად ესმოდეს, რომ იგი კისრულობს პასუხის გებას ქვეყნის წინაშე საზარელი შინაური ომის ატეხაზედ.

ინგლისს არა ერთხელ დაუმტკიცებია, რომ მას კარგად ესმის ის ბრძნული ჰაზრი, რომელიც გამოიხატება ქართული ანდაზით: ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო. და ამიტომ ირლანდიას იგი ნებით ჩაჰყვება, რომ ძალით არ იქნას ჩათრეული.

## ახალი ამბები.

—

ხევდურეთიდამ (გორ. უეზდ.) გვწერენ, რომ იქ ძლიერ გახშირებულა ქურდობა. კაცი ყურადღებას არ აქცევსო, შემოგვჩივის კორრესპონდენტი, რომ კვალი ვისმე ოჯახში მიუტანონ და დარწმუნებულიც იყვნენ რომ იმ ოჯახიდამ ვისმეს მეეპაროს საქონელიო...

ჩვენი საჩივარიც ეგ არის, ბ-ნო კორრესპონდენტო, მაგრამ, რა ვქნათ, თომ ამდენ ხანს ჩვენ სოფლებში ვერაფერი მოგვიგონიათ ამ ქურდობის მოსასპობლათ და საზოგადოებაც გულ-გრილათ შეჰყურებს საქმეს.

* * *

პეტროვსკიდამ (დაღესტ.) სწერენ გაზეთს „კავკაზს", რომ სოფელს პარაულში გაჩენილა საქონლის ჭირი.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ იქაური გოსპიტლის ფეხის.... ადგილები ისეთ გვარად არიან გამართულნი შენობის აღმოსავლეთისკენ, რომ ხშირი აღმოსავლეთის ქარისაგან იქაურობა სუნით იხჩევა. იმ გვერდითვე არიან სარეცხი წყლის გადასასხმელი ადგილი და ესეც აფუჭებს გოსპიტლის ჰავასო. ავათმყოფების გულისათვის, ბატ. ესკულაპებო!!.

* * *

დაიბეჭდა ბრ. ჩარკვიანის სტამბაში და გამოვიდა „სამშობლო", „ლექსთაკრება" მიხეილ აბულაძისა. ფასი ორი შაური.

* * *

ბუშინდელს გაზეთს „კავკაზში" დაბეჭდილი პოლიციური ქრონიკა ხუთის დღისა (13—18 აპრ.) აგვიწერს ტფილისში: ერთს თავის მოკვლას, ერთს კაცის-კვლას, ხუთს შემთხვევას გაქურდვისას, და ორს ახლად-შობილების ქუჩაზე დაგდებას...

* * *

დღეს არწრუნის თეატრში ჩვენი ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქმნება მოლიერის კომედია „სიყვარული მკურნალებს," თარგმანი დიმ. ყიფიანისა და ერთ მოქმედებიანი კომედია „გულმა იგრძნო," ნათარგმნი მარ. საფაროვისა. ეს პიესები ორივე ახალია და ჩვენ სცენაზედ ჯერ არ ყოფილა წარმოდგენილი.

## რუსეთი

—

გაზეთი *Russisehe Correspondenz* სწერს, რომ მეორე ყუმბარა, რომელმაც სასიკვდილოთ დასჭრა ხელმწიფე იმპერატორი, ისროლა ტეხნოლოგიის ინსტიტუტში მყოფ სტუდენტმა კრიპოვსკიმ.

— ხმა არის გავრცელებული პეტერბურღში, ვითომ სამხედრო მინისტრი მილიუტინი ტოვებს თავის თანამდებობას.

— ქალაქის მთავრის (გრადონაჩალნიკის) რჩევაში ამორჩეულია კომისია ხუთი პირისაგან, რომლის მოვალეობაა მოიპოვონ საშუალება წესიერების დასაცველათ იმ რკინის გზებზედ, რომელნიც კი აერთებენ ხელმწიფის საზაფხულო ალაგებს პეტერბურღს; 11 აპრილს ამ კომისიას დაუხედავს ბალტიის რკინის გზა გატჩინომდისინ; მოკლე ხანში აპირებენ დახედვას ვარშავის რკინის გზის გატჩინომდისინ და ბალტიისას პეტერგოფამდისინ.

— პეტერბურღიდამ იწერებიან მოსკოვის გაზეთებში: ქვეყნის სასწავლებლებში შესვლის დროს მოსწავლეებს მოეთხოვებათ მოწმობა, რომ იმათ წმ. საიდუმლო მიიღეს.

— განზრახვა აქვთ მოახდინონ ერთი დღის აღწერა პეტერბურღის მცხოვრებლებთა.

— სტუდენტების ფორმა უნდათ ხელ ახლა დააწესონ.

— გამოჩენილმა რუსის მწერალმა ქალმა იშიმოვამ ორმოც-და-ათის წლის იუბილეის გამო მიიღო მრავალი მილოცვა.

— სამხედრო ნაწილის ექიმებს ჯამაგირი მოემატებათ.

—

„რუსკი კურიერი" სწერს, რომ აღდგომის პირველ დღეს,( მოსკ.) საღამოს ერთ ტრახტირში, ღარიბ ყმაწვილს კაცს, 18-19 წლისას, მიუტანია ხის კვერცხები, რომელშიდაც ჰქონია ჩალაგებული აღკრძალული დაბეჭდილი ფურცლები („პროკლამაციები"). ერთი ამათგანი მიუცია იმავე ტრახტირში მყოფ მოსამსახურისათვის, რომელიც წასულა სამზარეულოში წაუკითხავს და შემდეგ გადაუცემია იქვე მყოფ ასასისათვის. ასასს წაუკითხავს, დარწმუნებულა, რომ აღკრძალული ფურცლები ყოფილა და გაქცეულა ახლო მყოფ პოლიციელებთან, რომელთაც დაუტუსაღებიათ ის ყმაწვილი; დატუსაღების დროს უნახავთ კიდევ ხუთი კვერცხი აღკრძალული ფურცლებით.

ამბობენ, რომ აღდგომა ღამეს და აღდგომის პირველ დღეს წარმოუდგენიათ პოლიციაში რამდენიმე ასი კვერცხები შიგ აღკრძალული ფურცლებით სავსე.

## უცხოეთი

—

შვეიცარია. ბერნიდამ იწერებიან, რომ დანიშნულია გამოძიება იმ პირთ შესახებ, რომელთაც აკრეს კედლებ-

---

გნით, დარბაზში სტუმრები ორად არიან დაყოფილნი: ერთი წილი, უმრავლესობა მასპინძელ ცოლ-ქმარს უსხედან შორი-ახლო და გარშემო და პოლიტიკური ახალი ამბებით და ადგილობრივის ჭორებით ირთობენ თავს, და მეორე წილი-ახალგაზდობაგარს არტყია აივანზე მჯდომარე მინადორას. აქ კი საუბრის საგნად სუფევს რომანების შინაარსი, სიყვარული და მენერა მინერვითა და დიანითურთ. მაშინ, როდესაც პირველმა წრემ ალჟირიაში ხრუეირების შესევაზე ბაასიდამ გადვიდა იმერეთის თავად-აზნაურთ წინამძღომელისაგან (პეტერბურღში) „დასაკოსებელის" თხოვნის განსჯაზედ, — დარბაზში შემოვიდა ექსელბანდებით დახლართული და ორდენებით გულ ჩარიჩხინებული კოწია. მას თან ახლდა ამ ოჯახის დაახლოვებული აფიცერი, რომელმაც გააცნო იგი მასპინძლებსა და ზოგიერთს სტუმრებს. რა იხელთა დრო, კოწიამ განზედ გაიყვანა მასპინძელი და ბოდიში მოიხადა ზემოაღწერილ დაცილებისათვის.

— **Пустяки, князь, не безпокойтесь** (არაფერია, თავადო, ნუ სწუხართო!) მიუგო მასპინძელმა და სიტყვა ბანზე აუგდო. ამ დროს შემოვიდა მინადორაც და გააცნეს ჩვენს თავადს. კარგად დამკვირვებელი ფსიხიატრი შეატყობდა მინადორას, რომ პირის-სახე აუთამაშდა და თვალებმა გამოსცეს იშვიათი ანდამატის ძალი... „ეს უნდა იყოს სწორედ... „**Какой красавчикъ!**" (რა ლამაზია!) გულში ამბობდა იგი.

— არა უჭირს რა, რამდენიც სილამაზე აქვს იმდენი სიმდიდრე თუ მოეპოვებაო! ზრახვიდა ჩვენი კაპიტანი. კოსტანტინემ, განგებითად ხმის კანკალით, მოიხადა *M—lle* მინადორას წინაშე ბოდიში და რასაკვირველია პატივება მიიღო.

უეცრად მათი თვალები ერთმანეთს მოხვდნენ... „ახლა კი მესმის, რად ასცილდა ის ტყვია ნიშანს და მოხვდა თქვენს ოთახს—ეუბნებოდა კაპიტანი მინადორას, — ანდამატებრივი ძალი თქვენის სიტურფისა, თოფისას კი არა, ზარბაზნის ტყვიასაც გზას დაუკარგავს, *mademoiselle*!

— *Oh, mersi* კომპლიმენტისათვის!

— ბატონო, სიმართლის თქმა განა კომპლიმენტია?

— ეს ნამეტანია, **князь!** (თავადო) და ასე, ამ რიგ მასლაათით თითქმის 3—4 საათი დაჰყო კოსტანტინემ ლახვიცისას. გამომშვიდობების დროს მასპინძლებმა სთხოვეს მას, საღამო-საღამოობითაც შემობრძანდებოდეთო. ჩვენს „კნიაზსაც" ეს უნდოდა...

V

ამის შემდეგ კნიაზ—კონსტანტინე ხშირი სტუმარი შეიქნა ლახვიციანთსა, რომელთაც შეძლების და ყოფა-ცხოვრების ამბავი დაწვრილებით შეიტყო. არც თვითონ მისი ვინაობა და ამბავი დარჩენიათ შეუტყობელი პოლკოვნიკს ლახვიცს და მის მეუღლეს... მინადორა და კონსტანტინე მალე დაუახლოვდენ ერთმანეთს: ორნივე ერთსა და იმავე ჭკუისა და ხასიათის აღმოჩნდენ... სავაჟო გიმნაზიის მეექვსე კლასსის სიბრძნისაგან გაქცეული და იუნკრის სკოლაში „სწავლა დასრულებული" კონსტანტინე და ინსტიტუტ გათავებული მინადორა ახლა დანიშნულნი გახლავთ და თითქმის მუდამ ერთად არიან. ბალებზე, არიფანებზე, ტანცობასა და, წარმოიდგინეთ, ფრონტზედაც ლაპარაკს კი მათ შორის ბოლო არა აქვს. სხვათაშორის ისინი მალ-მალ იხსენიებენ და ლოცვენ იმ „ბედნიერ დაცილებას" რომლის წყალობით ისინი დღეს ერთმანეთს ეკუთვნიან.

ბედნიერი დაცილება, ბედნიერი შემთხვევა...

ჯ.

ზედ ფურცელი რომელიც კაცხავდნენ ხელმწიფე იმპერატორის მკვლელთ მსაჯულებს.

— ზრიუტლის სავაჭრო ამხაგობამ, რომელიც უპირველესია მთელ შვეიცარიაში, მისცა ქაღალდი (პეტიცია) შეერთებულ რჩევაში, რომლითაც სთხოვს ის, რომ არ შეეხონ პოლიტიკურ დამნაშავეთ უფლებებს: იმავე დროს ეს საზოგადოება აცხადებს უსიამოვნობას ანარხისტების თეორიაზედ და იმ აზრებზედ, რომელნიც წარმოითქვა სოციალისტებისგან უკანასკნელ რჩევაში, ციურიხში.

— ლეიფციღიდამ იწერებიან, რომ სოციალისტების ყრილობა, რომელიც შეიკრიბა 20 აპრილს და რომელზედაც დამსწრეთ იყო ბანკლევერი, უნდა დაშლილიყო პოლიციის ბრძანებით.

—

**ოსმალეთი.** სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ოსმალეთის მთავრობამ 14 აპრილს შეატყობინა თავის ელჩების საშუალებით ევროპის სახელმწიფოებს ცირკულიარი შესახებ ფრანცუზების თუნისებთან გამოლაშქრებისა.

— ფუად-ფაშა მიდის პეტერბურღში რეუფ-ფაშის მაგივრად, ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III ტახტზედ აბრძანების მისალოცავად.

— სტამბოლიდამვე იწერებიან: მთავრობამ აკრძალა გაზეთი „მიდევადის“ გამოცემა, რადგანაც გამომცემელი თუნისის სამთავროში ნამსახური ყოფილა.


## განცხადებანი

### დასყიდვა ფასებით:

საზამთრო პალტოები 12 მანეთიდამ; ფუფაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთიდამ., ფოდნოსები 5 კაპეიკიდამ; თეფშები 12 კაპ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური კამფეტები 40 კაპეიკიდამ, და ჩაი, რომელიცა ყველგან 2 მ. 50 კ. ღირს, ისყიდება 1 მან. 80 კ.

**ინგლისის მაღაზიაში,** არწრუნის გალერეაში. (20—19)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლად პირველი ჰოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შროკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუშევინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად განფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანის იგარები. (100—50)


# ბ ა ლ ა ნ ს ი

## ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვარს 1881 წლისა.

### აქტივი

| აქტივი | მან. | კ. |
|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფულით . . . | 7983. | 11 |
| სარგებლიანი ქაღალდებით 73000 | | |
| ფული მიმდინარე ანგარიშზე: | | |
| ა. სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში . 13.370 მ. 97 კ. | | |
| ბ. თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . 32,586 მ. 97 კ. | 47.072. | 54 |
| გ. თბილისის საკომერციო ბანკში . 1.114 მ. 60 კ. | | |
| საწევრო ფული თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . | 30 | „ |
| სარგებლიანი ქაღალდები: | | |
| ა. ბანკის საკუთრონი: | | |
| 1. სახელმწიფო ქაღალდები, შესანახავად მიბარებულნი სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში წესდების 50 § შენიშვნის ძალით (100.000) . 91.785 მ. 33 კ. | | |
| 2. სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასაში (62.000) . 55.913 მ. 66 კ. | 147.698. | 99 |
| სარგებელი მათი 1 იანვრამდე 1881 წლისა . . . . | 736. | 10 |
| ბ. საზოგადო საჭიროებათა კაპიტალი (8.800) . . . . | 8.096. | „ |
| გ. კაპიტალი (2.700) . . . . | 2.450. | 74 |
| სესხნა: | | |
| ა. სასოფლო მიწა-წყალზე $43\frac{1}{2}$ წლით 632,600 | | |
| ბ. ქალაქის მამულებზე $18\frac{7}{12}$ წლით 1,224,400 | 1.857.000 | „ |
| გ. მოკლე-ვადიანნი . . . . | 94.751. | 92 |
| გირავოს ფურცელნი, საკომისიოდ მიბარებულნი . . 710,900 | 591.715. | „ |
| მოვალენი: | | |
| ა, გადასახადი ფული, რომელსაცა აქვს ლგოტა . . . . | 87.946. | 29 |
| ბ. „ „ ვადას გადაცილებული . . . . | 10.181. | 18 |
| სხვა და სხვა დებიტორები . . | 2.963. | 80 |
| ხარჯები: ა. დასაბრუნებელნი . | 2.246. | 11 |
| ბ. მოწყობ-მორთულობაზე . | 3.841. | 98 |
| გ. სხვა და სხვა, 1881 წელში გადასული . . . . | 110. | „ |
| ს უ ლ | 2.864.823. | 76 |

შენიშვნა: გირავოს ფურცელნი, შესანახავად მობარებულნი 46.00 მან.

### პასსივი

| პასსივი | მან. | კ. |
|---|---|---|
| ძირის თავნი . . . . | 454.306. | 15 |
| სათადარიგო კაპიტალი . . . | 8.519. | 84 |
| საზოგადო საჭიროებათა . . . | 15.278. | 21 |
| კაპიტალი სტიპენდიებისა . . . | 2.781. | 99 |
| გირავოს ფურცლები, მიმოსვლაში მყოფნი: ა) $43\frac{1}{2}$ წლიან. 632,600; „ „ ბ) $18\frac{7}{12}$ წლ. 1,224,400 | 1.857.000 | „ |
| თანხა: მომსპობი სესხთა: ა) $43\frac{1}{2}$ წლ. 1,708 მ. 38 კ.; ბ) $18\frac{7}{12}$ წ. 22,164 მ. 87 კ. | 23.873. | 25 |
| თანხა სარგებლისა: ა) $43\frac{1}{2}$ წ. 18,974 მ. 39 კ.; ბ) $18\frac{7}{12}$ წ. 36,407 მ. 73 კ. | 55.382. | 12 |
| ყოველ-წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საჭიროებათა კაპიტალის შესადგენად და სხვ. | 10.594. | 75 |
| საზღვეველნი, მაგრამ ჯერ წარმოუდგენელნი დასახურდავებლად: | | |
| ა) გირავოს ფურცლების კუპონები. | 34.185. | „ |
| ბ) გირავოს ფურცელნი ტირაჟებში გამოსულნი . . . . | 14.000. | „ |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა . | 182. | 56 |
| გადაცემი ფული . . . . | 26.763 | 98 |
| ერთ-დროებითი შემოსატანი ფული . | 2.803 | „ |
| კორრესპონდენტები ბანკისა . | 314.350. | 78 |
| ღერბის ბაჟი . . . . | 174. | 60 |
| სხვა-და-სხვა კრედიტორები . | 8.615. | 37 |
| წმინდა მოგება . . . | 36.012. | 16 |
| ს უ ლ | 2.864.823. | 76 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Апрѣля 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა